Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
Founder and CEO
BRAMS Institute

THE THEORY OF SUCCESS AND WOMEN'S POSITION IN THE US

(Abstract)

KEYWORDS: Theory of Success, Feminism, Equality, Motivation, Satisfaction, Historical Influence, USA

Abraham Lincoln's model of democracy did not consider women's equality to men. The social norms of the American lifestyle restricted female activities within the kitchen boundaries. Individuals do not always follow general rules set by other individuals, thus the world receives the famous or notorious types of celebrities. Regardless of the judgement and outcome of the waves of feminism, the unfair limits set against women caused each protest.

Most real-life situations show that the motivation backed by negative emotions obtains much wider resonance than by positive feelings. Dissatisfaction can be considered the basis of almost all–even of the most generous–intentions. Generally, people are motivated by two opposing reasons: they either try to fulfill their wishes, taking advantage of all opportunities, or they do their best to achieve a desired–but seemingly unreachable–goal, acting despite the lack of the required predispositions. Being motivated by outrage, a person has more chance to achieve a higher target than planned. This approximation between the aim and result can be considered a theory of success, which depends on the will of

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

an individual, stimulated by either positive or negative boosters. The idea of the theory of pro and con–as I name my version of the theory of success–is that the desired goal can be reached despite the nature of a booster, though the nature of a booster influences the power of motivation and strength of consequence: The stronger and more numerous the disadvantages are, the better the result appears.

Human beings have a genetic inclination to stand out in a crowd. This impulse is developed with differential vigor in each individual. The theory of pro and con does not mean a common understanding of becoming a celebrity by any means, nor gaining the status of a successful person. Neither money nor social status can identify actual success. This theory is about an individual feeling of satisfaction through achieving an internal–spiritual that has nothing to do with religious–balance, making a person actually feel successful. Materialistic people cannot be associated with the theory of success, even if a greater part of society considers them successful. The theory of pro and con means self-realisation according to one's personal abilities. Therefore, you are successful when you do your best and that is enough to attain your purpose.

Charles Chaplin is one of the best illustrations of the theory of success in its entirety. Not only did he demonstrate the ability to be a democratic father with some liberal views, as shown in the famous letter to Geraldine–"Struggle with me, my girl, fight my thoughts. I don't like obedient offspring"–but also, after a long life full of ups and downs, 'old Charlie' knew too well that the theory of success would work only for people who could be persistent enough to keep swimming upstream. Obedience would be rather a setback than encouragement in shaping character and becoming an individual. Those parents, who cannot wait until

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

their child is sixteen and leaves home, will never understand Chaplin's concept. Parents are supposed to try to *bring up* a person, though an obedient child is much more convenient to deal with. This is the reason why it does not matter whether the letter is fake or not. Even if an Iranian journalist, Farajollah Saba, is the real author of the fictional letter, as a few Asian websites state, the general wisdom of the text written by a progressive man remains valuable. Furthermore, each word of the letter truly beams with the undying humanity of Chaplin. The advice is given with one major purpose–to guide the child towards the internal success through achieving and keeping the inner balance.

It was too late for Mrs Roosevelt to save her marriage when she finally understood the wisdom of a French girl–the theory of success depends on endless control of the inner balance. It was not just a role play for Fanfan how she treated love of her life but the way to keep the love of Alexandre after she finally won him. On the contrary, Eleanor probably believed that she hit the desired target when she wed FDR.

Both, Mr and Mrs Roosevelts, have gone through personal painful experiences to discover the power of the theory of pro and con. For her, it started with the husband's adultery and for him, with his unexpected physical disability. The fate of this outstanding woman makes me suggest that the 'abnormal' men sometimes create the 'abnormal' women who find the shelter under the gender rivalry instead of harmony. The broken heart became the catalyst of success for the most remarkable First Lady. On the contrary, Bess Truman whose entire life was protected by Mr Truman's pampering love and care, could never feel the tragic bitterness of Eleanor Roosevelt's words: "A woman is like a teabag. You never know how strong she is until she's in

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

hot water". Hillary Clinton had some experience but managed to come ashore.

When and where has a weird destiny of the woman started, which eternally pushes her into hot water but orders her to come out fresher and younger? Hatshepsut seems superior among those who could rise like a mythical phoenix. Just a glance at Djeser-Djeseru makes me feel an untold female sorrow kept in the cliff face of the Mortuary Temple of the unique pharaoh whose scream for human freedom and equality totally thrills and chills the mortal.

Life of Hatshepsut is a vivid example of the theory of pro and con, succeeded by the night of Isis's teardrop. The daughter of Amon Ra is neither the first nor the last female pharaoh and yet, the wife of Thutmose II stands one step ahead of all other mysterious women who ruled. Sandy features of Hatshepsut's face express an emotional palette–from faith and trust to sad discovery of being doomed. But still keeps to look forward as she is ready for whatever awaits. Perhaps someday someone explains the riddle of her untold motivation.

It is hard to believe that a normal woman could crave to put down her personal happiness for the sake of fighting for an idea on behalf of mankind –however noble her intention might be. The theory of success always needs to be fueled by some kind of individual dissatisfaction. Such motivation is required for all, men and women. The only thing that matters is, whether the person has human virtues or not. The nature of the theory of pro and con is extremely peculiar, which makes it dependent on a more universal and precise theory of relativity.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
დამფუძნებელი და დირექტორი,
ბრამსის ინსტიტუტი

წარმატების თეორია
და ქალის პოზიცია აშშ-ში

საკვანძო სიტყვები: წარმატების თეორია, ფემინიზმი, თანასწორობა, მოტივაცია, კმაყოფილება, ისტორიული ზეგავლენა, აშშ

წარმატების თეორია ეფუძნება დადებითი ან უარყოფითი გამღიზიანებლით გააქტიურებულ მონდომებას. ერნესტ ჰემინგუეი თვლიდა, რომ ადამიანი კარგად წერს მაშინ, როცა შეყვარებულია. საწინააღმდეგოს აღწერს ოსკარ უაილდი „დორიან გრეის პორტრეტში“, სადაც უნიჭიერესი ახალგაზრდა მსახიობი სიბილა ვეილი დორიან გრეის შეყვარებისთანავე კარგავს არტისტულ ტალანტს. მოტივაცია, რა თქმა უნდა, ყოველი ქმედების საფუძველია, მოღვაწეობის სფეროსა და პროფესიის მიუხედავად. უსაზღვრო ენერგიის წყაროდ ნებისმიერი დიდი გრძნობა აკუმულირდება. როგორც მრავალფეროვანი ამერიკული პრაქტიკა ადასტურებს, უმეტესად, უარყოფითი ბევრად უფრო დიდ რეზონანსს იწვევს, ვიდრე დადებითი. რადგან ზოგად კანონებში ინდივიდები ვერ თავსდებიან, სწორედ ამგვარად მოევლინება ხოლმე სამყაროს კეთილი ან ბოროტი გენია.

შესაბამისად, თუნდაც ყველაზე კეთილშობილი მიზნის საფუძველიც ყოველთვის დაუკმაყოფილებლობაა. ჩვეულებრივი ადამიანი ან სასურველის მიღწევის მიზნით მოქმედებს, ან მიუწვდომლის ჯიბრით და, როგორც წესი, მეორე შემთხვევაში ბევრად უფრო მასშტაბურად აქტიუ-

BRAMS Journal
2020 Volume 1, Issue 1
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რობს. ამ მოვლენას პირობითად ვუწოდე წარმატების თეორია, რომელიც ეფუძნება დადებითი ან უარყოფითი გამღიზიანებლით გააქტიურებულ მონდომებას. თანხვედრისა და წინააღმდეგობის შედეგია წარმატების თეორია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღწევა სასურველი მიზანი, თუმცა – განსხვავებული ხარისხით.

ადამიანის ბუნებაში თავიდანვე ჩაიდო გენეტიკური სწრაფვა გამორჩეულობისკენ. ეს სურვილი ინდივიდებს განსხვავებული სიმძლავრით ახასიათებთ. თანხვედრისა და წინააღმდეგობის პროცესი არ გულისხმობს ტრივიალურ მცდელობას – გახდე ცნობილი ნებისმიერი საშუალებით და მოიპოვო წარმატებულის (პირადი თუ საზოგადოებრივი საზომებით) სტატუსი. ეს არის შინაგანი წონასწორობის შეძენით პიროვნების მიერ განცდილი კმაყოფილება. სწორედ ამიტომ, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების მქონე ადამიანი, თუნდაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა იგი წარმატებულად აღიაროს, ვერასდროს გამოიყენებს თეორიას, რომელიც გულისხმობს თვითრეალიზაციას შესაძლებლობათა შესაბამისად.

გამორჩეულნი, უმეტესწილად, ერთმანეთს გვანან წარმატებისადმი ლტოლვის დაუოკებელი სურვილით.[17] ბევრი მათგანი ცხოვრებაშივე იძენს წინასწარ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ პოლიტიკურ სტატუსს, ანდა – მოგვიანებით ხდება მათი პერსონის ახლებურად ინტერპრეტირება.

წარმატების თეორიის ყველაზე ეფექტური შედეგის მიღწევას დინების საწინააღმდეგოდ ჭკვიანურად მოცურავე პიროვნება ახერხებს. მხოლოდ ინდივიდუალობას მიჩვეული, დამოუკიდებელ მოაზროვნედ აღზრდილი ბავშვისგან ყალიბდება პიროვნება, რომელიც მომავალში შეძლებს პირადი, შინაგანი წარმატების მიღწევას.

გარდაცვალების შემდეგ „თუ ზეცაში მოვხვდები და მოციქული პეტრე მკითხავს, სად მსურს ჯდომა, ვუპასუხებ: „სულერთია, ოღონდ ნუ ვიქნები ქალი ან ზანგი. კეთილო ანგელოზო, მიბოძე თეთრკანიანი მამაკაცის ხვედ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რი, რომ უსაზღვრო თავისუფლებით ვსარგებლობდე იმისდა მიუხედავად, ვზივარ თუ ვდგავარ, ვდგები თუ ვწვები“,[8] ამას ნატრობდა „ამერიკის დამფუძნებელი დედა“ – ელიზაბეთ კედი სტენტონი ახალგაზრდობაში.

თერთმეტი წლის ელიზაბეთი პირველად მაშინ შეეჩეხა გენდერულ უთანასწორობას, როდესაც უფროსი ვაჟის, ელიაზარის გარდაცვალებით დათრგუნული მამის ნუგეშისცემა სცადა, პასუხად კი მიიღო აშკარად სიყვარულით ნათქვამი: „ეჰ, ჩემო გოგონავ, ნეტავი ბიჭი ყოფილიყავი!“[8] ბავშვურმა გონებამ მარტივად გაიაზრა დიდი პრობლემა – მამაჩემს ვაჟიშვილები ურჩევნია ქალიშვილებსო. ელიზაბეთი მონდომებით ჩაუღრმავდა მამის იურიდიულ ბიბლიოთეკას. სიამოვნებდა საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით კამათის წარმართვა მისტერ სტენტონის კლერკებთან. სულ უფრო ნათლად ხედავდა კანონის დისპროპორციულ დამოკიდებულებას მამაკაცებისა და ქალებისადმი, განსაკუთრებით გათხოვილებისადმი, რომლებსაც არც უძრავი ქონების, არც რაიმე შემოსავლის, არც სადმე დასაქმებისა და თვით საკუთარ შვილებზე მეურვეობის უფლებაც კი არ ეძლეოდათ არსებული კანონმდებლობის მიხედვით. პრობლემა არა მხოლოდ დაინახა, არამედ მასთან გამკლავებაც გაბედა იმ ეპოქისთვის შეუფერებლად დემოკრატი მამისა და მეუღლის მხრიდან შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის წყალობით.[12] საბოლოოდ, ელიზაბეთ კედი სტენტონი ამერიკული ფემინისტური მოძრაობის ყველაზე თამამ და სწორუპოვარ ლიდერად იქცა.[9]

უბრალოდ ვაჟიშვილის ყოლის სურვილის გამო არ იჩქარა სენატორმა ტომას ჰარტ ბენტონმა, როცა მეორე ქალიშვილს ბაბუის სახელის მიხედვით ჯესი[15] დაარქვა. „დიდი ექსპანსიონისტი“ არც მხოლოდ საკუთარი ახირების გამო ზრდიდა გოგონას XIX საუკუნეში ბიჭებისთვის განკუთვნილი წესების შესაბამისად. გარშემო ყველას უკვირდა, რატომ მისცა სრულყოფილი განათლება ადრეულ ასაკშივე და წამყვან პოლიტიკოსთა წრეში თანასწორუფლებიან წევრად შეიყვანა მოზარდი. ჯესი ბენტონი მამის

BRAMS Journal ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

საუკეთესო მეგობარ-კოლეგად გადაიქცა. თუმცა, უკან არ მოუხედავს, ისე გაიპარა 17 წლის გოგონა ახალგაცნობილ ლეიტენანტ ჯონ ჩარლზ ფრემონტთან. დედამ მალე-ვე შეარიგა მამა-შვილი.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალგაზრდა მისის ფრემონტის ხანგრძლივი სვლა ორმაგი წარმატებისკენ – პირად და პოლიტიკურ სარბიელზე. სანამ მისი ქმარი „დასავლეთისკენ გზამკვლევის“[13] ტიტულს მოიპოვებდა, მშობლების სახლში დარჩენილი ახალნამშობიარევი ჯესი მეუღლის მონატრებას იმით იქარვებდა, რომ ზედმიწევნით აზუსტებდა ექსპედიციების ყველა დეტალს, ინიშნავდა ჯონის მონათხრობს, აღწერდა მის გამოცდილებას. ამ ჩანაწერების საფუძველზე შექმნა სტატიების სერია იმდროინდელი პოპულარული ჟურნალებისთვის. ბესტსელერებად ქცეული პუბლიკაციებით ჯესიმ საკუთარ ქმარს ეროვნული გმირის იმიჯი შეუქმნა ამერიკის დასავლეთში მიწების შემოერთებით დაინტერესებული მკითხველი აუდიტორიის თვალში. ცოლის პუბლიცისტურ ტალანტს ჯონმაც გაუმყარა საფუძველი, როცა მექსიკას ხელიდან გამოგლიჯა კალიფორნია და შეერთებული შტატების ტერიტორიად აქცია.

1847 წელს ბატონი ფრემონტი კალიფორნიის სამხედრო გუბერნატორი გახდა და ოჯახთან ერთად სანფრანცისკოში დასახლდა. პოლიტიკაში კარგად გარკვეული ქალბატონი ფრემონტი მამაკაცების თანასწორად მონაწილეობდა ქალაქის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში, ნებისმიერ მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობდა მათთან და ისინიც ანგარიშს უწევდნენ ქალის მოსაზრებებს. აქტიური ქმრის არანაკლებ აქტიური ცოლის სტატუსი, სიყვარულთან ერთად, მეუღლის პატივისცემასა და აღტაცებას სძენდა. ვინ იცის პირად-პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენად უფრო დიდ მწვერვალებზე ავიდოდა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონის გამარჯვების შემთხვევაში. დასანანია, კალიფორნიის შტატის პირველი ლედი თეთრ სახლში რომ ვერ მოხვდა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1873 წელს ეკონომიკური კრიზისის დროს ჯონ ფრემონტმა ქონების უდიდესი ნაწილი დაკარგა რკინიგზის ბიზნესში არასახარბიელო კაპიტალდაბანდების გამო და თავი ბანკროტად გამოაცხადა. ოჯახის ფინანსურად დახმარების მიზნით, ჯესიმ ძველი საქმიანობა გაიხსენა და ისევ წერას მიჰყო ხელი. ამჯერად უკვე წიგნის ფორმატში აღწერა პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებები დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

ქმრის სიკვდილის შემდეგ, კონგრესის ბრძანებულებით, მის ქვრივს ყოველწლიური პენსია დაენიშნა 2 ათასი დოლარის ოდენობით. როცა ჯესი ფრემონტი გარდაიცვალა, ამერიკის მე-20 პრეზიდენტის, ჯეიმზ გარფილდის მეუღლემ ვარდების უზარმაზარი თაიგულის პანაშვიდზე გაგზავნით გამოხატა საკუთარი პატივისცემა ამერიკულ პოლიტიკაში ჯესის დამსახურებათა გამო.

ფრემონტების არაორდინალურ წყვილზე ამერიკელმა გამომძიებელმა ჟურნალისტმა და მწერალმა სალი დენტონმა ხატოვნად, თანაც მართებულად თქვა – ჯესისა და ჯონის „ძალაუფლებამ, პოლიტიკამ და სიყვარულმა შექმნა XIX საუკუნის ამერიკა“. უსკანდალო მოღვაწეობის გამო, მათი ამბავი დღეს ნაკლებად არის ცნობილი. არადა მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აბრაამ ლინკოლნის „მონათა განთავისუფლების მანიფესტს“ (1862 წლის 22 სექტემბრისა და 1863 წლის 1 იანვრის ბრძანებულებები) წინ უსწრებდა ჯონ ფრემონტის პირადი ინიციატივით გამოქვეყნებული ედიქტი, რომელიც თავისუფლებას ანიჭებდა მისურის შტატის ყველა მონას.[13] თუმცა, ლინკოლნმა გენერალ-მაიორის ეს ბრძანება გააუქმა.

ჯესი ენ ბენტონ-ფრემონტმა ხანგრძლივი, მრავალფეროვანი ცხოვრება განვლო. ჯერ პროგრესული მამის, შემდეგი კი იმ პერიოდისთვის შეუფერებლად ტოლერანტი მეუღლის წყალობით, ათწლეულებით გადაასწრო დიასახლისის ვიწრო ასპარეზით შეზღუდულ მის თანამედროვე ქალბატონებს. არა მხოლოდ მამაკაცთა შესაფერისად განათლებულმა, არამედ უკომპრომისოდ დამოუკიდებელმა და ქმედების თავისუფლებით აღჭურვილმა, აშშ-ის

BRAMS Journal ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ისტორიაში მწერლისა და პოლიტიკური აქტივისტის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. თუმცა, ასეთი მშრალი განმარტება ნამდვილად არასრულყოფილი და სუსტია ჯესი ბენტონის დონის მოღვაწის მიმართ.

მას მთელი ცხოვრება ღირსეულად ეკავა ქმრის თანაშემწისა და უახლოესი მრჩევლის ლეგიტიმური, მაგრამ არაოფიციალური თანამდებობა. ელეონორა რუზველტამდე ერთი საუკუნით ადრე, სუსტი სქესის გონებრივი შესაძლებლობებისადმი ირონიული დამოკიდებულების საუკუნეში, ჯესი საკუთარი ქმრისთვის სიყვარულისა და ერთგულების სახელით ითავსებდა ქალისთვის ისეთ შეუფერებელ ფუნქციებს, რითიც დღეს ყველა წამყვან პოლიტიკოსს კარგად გაწვრთნილი მხარდამჭერთა გუნდი უზრუნველყოფს – პოლიტიკური ფიგურის ქცევის მომგებიანად ინტერპრეტირება, მის გარშემო მიმდინარე მოვლენათა სასურველი რაკურსით წარმოჩენა მასის თვალში, იმიჯზე ზრუნვა, სტერეოტიპის მორგება-დახვეწა, პიარკამპანიების წარმოება, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება-განახლება და ა.შ.

ჯესის ენერგიულ ქმედებათა მოტივაციას ქმრის საუკეთესო კუთხით წარმოჩენის დაუოკებელი სურვილი წარმოადგენდა ყველა ეტაპზე. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ საეჭვო წარმომავლობის გამო სოციალურად ბევრად დაბლა მდგომი ქმრის უმაღლესი საზოგადოების დონეზე ამოყვანა გახდა მისის ფრემონტის წარმატების თეორიისთვის აუცილებელი ენერგიის დაუშრეტელი წყარო. მამის ავტორიტეტი მყარ იმუნიტეტს უნარჩუნებდა და ხელს უწყობდა ქალიშვილის ჩანაფიქრის რეალიზებას მაშინაც კი, როცა თავად სენატორი იყო სიძის პოლიტიკური არჩევანის წინააღმდეგი.

უკვე მიღწეულის შენარჩუნებისათვის ბრძოლაა აღწერილი ფრანგულ მელოდრამაში „ფანფანის სიყვარულის გემო“: მთავარ პერსონაჟს ყოველ დილას ხელახლა უწევს სასურველი ქალის გულის დაპყრობა დღის ბოლომდე. ფრანგი ქალის გონიერებას გვიან ჩასწვდა ელეონორა რუზველტი, რომელსაც საყვარელ მამაკაცზე და-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქორწინების შემდეგ მიზანი მიღწეული ეგონა. მასაც და მის ორგულ მეორე ნახევარსაც პირად მაგალითზე მოუწიათ წარმატების თეორიის გააზრება. ფრანკლინ დელანო რუზველტისთვის მოულოდნელი ავადმყოფობა იქცა შემდგომი პოლიტიკური აქტიურობის კატალიზატორად, მაშინ როცა ელეონორასთვის ქმრის ღალატმა შეასრულა იგივე ფუნქცია.

ამ არაორდინარული ქალის ბედი მაფიქრებინებს, რომ ზოგჯერ „არანორმალური“ მამაკაცები ქმნიან „არანორმალურ“ ქალებს და ისინი ფემინისტები ხდებიან.[7] დამსხვრეული ბედნიერება აღმოჩნდა ყველაზე ძლევამოსილი პირველი ლედის წარმატების მიზეზი. ელეონორა ტკივილმა აიძულა ძლიერი ყოფილიყო, ქმარს გასჯიბრებოდა და, გარკვეული აზრით, მისთვის გაესწრო როგორც პოლიტიკურ, ასევე ცხოვრების ასპარეზზე.

მეუღლის სიყვარულითა და მზრუნველობით განებივრებული ბესი ტრუმენი ვერასდროს იტყოდა ისეთი გულწრფელი ტრაგიზმით, როგორც ელეონორა: „ქალი ჰგავს ჩაის ფერს. მხოლოდ ცხელ წყალში მოხვედრისას გამოჩნდება, რამდენად მაგარია იგი“.[14] სამაგიეროდ, ქმრის ერთგულებაში დარწმუნებულ ბესი ტრუმენს შეეძლო ხუმრობაში გაეტარებინა ყველა პროვოკაცია, რომელსაც მას ან მის მეუღლეს უწყობდნენ.[18] თუ რუზველტების წყვილი შეჯიბრებითობის პრინციპით სულდგმულობდა, ტრუმენები სრულყოფილებამდე ავსებდნენ ერთმანეთს.

როდის ან სად დაიწყო ქალის უცნაური ბედისწერა,[2] რომლის მიხედვითაც მას მუდამჟამ ცხელ წყალში უწევს ჩაყურყუმალება, იქიდან კი უფრო ქორფა და ნორჩი უნდა ამოვიდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ნორმალურ ქალს რაღაც ზოგადსაკაცობრიო მოტივით ბრძოლა უფრო ხიბლავდეს, ვიდრე პირადი ბედნიერება.[10] წარმატების თეორიის ამოქმედება ყოველთვის მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როდესაც გარკვეული სახის, თუნდაც უმნიშვნელო დაუკმაყოფილებლობა იჩენს თავს მიზანსწრაფულ ინდივიდში.[4] ეს კანონზომიერება თანაბრად ვრცელდება ყვე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლაზე, ქალსა თუ მამაკაცზე. ზღვარი ყველასთვის ერთ წერტილზე გადის – ადამიანობასა და მის მიღმა. თუმცა, გასათვალისწინებელია თანხვედრისა და წინააღმდეგობის თეორიის უკიდურესად ინდივიდუალური ბუნება, რის გამოც იგი ბევრად უფრო სრულყოფილ, უნივერსალურ ფარდობითობის თეორიაზეა დამოკიდებული.

წარმატების თეორია გულისხმობს პიროვნების თვითრეალიზაციას შესაძლებლობათა შესაბამისად. სწორედ ეს თეორია უდევს საფუძვლად XIX და XX საუკუნეების გამოჩენილი ამერიკელი ქალბატონების: ელიზაბეთ სტენტონის, ჯესი ბენტონ-ფრემონტის, ჯუდი გარლანდის, ელეონორა რუზველტისა და მათ მსგავსთა[1] მოღვაწეობას პოლიტიკურ ასპარეზზე.

ლიტერატურა ▫ References

1. მაისაშვილი თამარ, **კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ**, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 259-262.
2. ნუცუბიძე სულიკო, **როგორ გაჩნდა ქალი**, გაზ. „ქალთა გაზეთი“, ნოემბერი, 1992, გვ. 12.
3. სტურუა მელორ, **თეთრი სახლი, აღმოსავლეთის ოთახი – პირველი ლედის ლიტერატურული სალონი**, გაზ. „24 საათი“, №167, 16 ნოემბერი, 2002, გვ. A8.
4. **სუბიექტის აქტივობის პრობლემა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ფილოსოფიაში**, კახა კაციტაძე, თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1996.
5. შერმანი ჟანან, **სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმითი**, ამერიკის შესწავლის საკითხები (მოხსენებათა კრებული), ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, გვ. 187-191.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

6. *Barbara Bush: A Memoir*, Barbara Bush, New York, NY: Scribner, 1994
7. *Beyond Suffrage: Women in New Deal*, Susan Ware, Cambridge, MA: Harvard University Press, 1981.
8. *Created Equal: A Biography of Elizabeth Cady Stanton*, Alma Lutz, New York, NY: John Day Company, 1940.
9. *Elizabeth Cady Stanton: A Radical for Woman's Rights*, Lois W. Banner, Glenview, IL: Scott Foresman & Co., 1987.
10. *The Feminine Mystique*, Betty Friedan, New York, NY: W.W.Norton & Company, Inc., 2001.
11. *Her Way: The Hopes and Ambitions of Hillary Rodham Clinton*, Jeff Gerth and Don Van Natta, Jr., New York, NY: Little, Brown & Co., 2007.
12. *In Her Own Right: The Life of Elizabeth Cady Stanton*, Elizabeth Griffith, New York, NY: Oxford University Press, 1984.
13. *John Charles Frémont: Character as Destiny*, Andrew Rolle, Norman, OK: University of Oklahoma Press, 1991.
14. *Living History*, H.R.Clinton, New York, NY: Simon & Schuster, 2003.
15. *Passion and Principle: Jessie and John Frémont and the Shaping of America*, Sally Denton, New York, NY: Bloomsbury USA, 2007.
16. *The President's Lady*, Irving Stone, Garden City, New York, NY: Doubleday & Co., Inc., 1951.
17. *Women Who Run with the Wolves. Myths and Stories of the Wild Woman Archetype*, Clarissa Pinkola Estes, New York, NY: Ballantine Books, 1996.
18. *Первые леди Америки*, Л.Пастусиак, Ростов-на-Дону: изд-во «Феникс», 1998.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)